გილოცავთ გიორგობის ბრწყინვალე დღესასწაულს!

# ბორჯომი

რაიონის საზოგადოებრივ-პოლიტიკური გაზეთი გამოდის 1931 წლის 20 ივლისიდან

23 ნოემბერი
ხუთშაბათი
2023 წელი
№49 (9311)
ფასი 40 თეთრი

## ვულოცავთ სრულიად საქართველოს ევროკავშირის წევრობის კანდიდატის სტატუსის მინიჭებას

**ორიოდე კვირის წინათ საფრანგეთში მშვიდობის ფორუმი გაიმართა. ამ მეტად მნიშვნელოვან და პრესტიჟულ ღონისძიებაში მონაწილეობისათვის საფრანგეთის პრეზიდენტმა ემანუელ მაკრონმა საქართველოს პრემიერ-მინისტრი ირაკლი ღარიბაშვილი სპეციალურად მიიწვია და ოფიციალური მიღებით კიდევ ერთხელ ხაზი გაუსვა უკანასკნელ წლებში საქართველოს ხელშესახებ წარმატებებს.**

**საფრანგეთის პრეზიდენტმა ირაკლი ღარიბაშვილთან ოფიციალურ მიღებაზე განაცხადა: „ბრავო ქართველ ხალხს, რომლის ერთგულება დემოკრატიისა და ევროპის მიმართ აღარ საჭიროებს დამტკიცებას. გააერთიანეთ ძალისხმევა წინსვლისათვის, საფრანგეთი დგას თქვენს გვერდით“. მეტად შთამბეჭდავი შეფასებაა და უკეთესად ვერ იტყვი.**





საქართველოსათვის ევროკავშირის სტატუსი ჯერ კიდევ შარშან უნდა მიენიჭებიათ, მაგრამ ჩვენს სამშობლოს უსამართლოდ მოექცნენ და ქართველებს დაუმსახურებელი შეურაცხყოფა მოგვაყენეს. განვლილი ერთი წლის მანძილზე საქართველომ მარტო ევროპას კი არა, მსოფლიოს დაუმტკიცა, რომ ყველა პარამეტრებით წინ იყვნენ უკრაინასა და მოლდოვასთან შედარებით. გადაჭარბებული აღტაცება, რომელსაც ზოგიერთები გამოხატავენ, უადგილოა, უგემოვნებისა და უკულტურობის ნიშანია, საზეიმო და სადღესასწაულო ჯერ გვიანია. სამომავლოდ დიდი შრომა და ოფლისღვრა მოგვიწევს სერიოზული ეკონომიკური და სოციალური რეფორმების გატარებისათვის, ამის გარეშე ევროკავშირში არაფერი გვესაქმება, თუმცა მსოფლიოს მთელმა რიგმა ქვეყნებმა ევროკომისიის გადაწყვეტილება საქართველოს მიმართ დადებითად შეაფასეს და წარმატებები უსურვეს სამომავლოდ.

სამაგიეროდ ქვეყნის შიგნით არსებულ ოპოზიციურად განწყობილ პოლიტიკურ პარტიებს და მათ ლიდერებს არ გახარებიათ საქართველოს ესოდენ დიდი აღიარება. განბილებულები არიან, ახლა ყურით „მოთრეული“ პრობლემებით უნდათ ფონს გასვლა, ჩაეშალათ რევოლუციური გეგმებიც, რომელიც სტატუსის არმიცემაზე იყო აწყობილი. არადა, სერიოზულად ემზადებოდნენ „ქართული მაიდანისათვის“, არეულობისათვის... აქაც კოვზი ნაცარში ჩაუვარდათ... არანაირი „მაიდანი“ არ იქნება. ქართველმა ხალხმა 30 აპრილს, რუსთაველის მოედანზე 50 ათასი მომიტინგე გამოიყვანა, მთელ მსოფლიოს დაუმტკიცა, რომ საქართველოში გადამწყვეტი სიტყვა ქართველ ხალხს ეკუთვნის, რომელიც თავისი ქვეყნის, რწმენის, ოჯახისა და ტრადიციების ერთგულია და ოპოზიციურ ძალებს არ დაუთმობს ხელისუფლებას, რომლებსაც ქვეყნის სათავეში ყოფნის დროს არანაირი სიკეთე სამშობლოსათვის არ გაუკეთებია.

(გაგრძელება მეორე გვერდზე)

## მართლმადიდებლური დღესასწაულები!

## ქართველთა დიდი წმინდანი

**23 ნოემბერს,** საქართველოს მართლმადიდებლური ეკლესია გიორგობის ბრწყინვალე დღესასწაულს ზეიმობს. (ეკლესია წმინდა გიორგის ხსენებას წელიწადში ორჯერ, 6 მაისს - წმიდანის აღსრულების დღეს და 23 ნოემბერს - მისი ბორბალზე წამების დღეს აღნიშნავს).



წმინდა გიორგი კაპადოკიელი დიდებული იყო, რომელიც რომის ლაშქარში მსახურობდა და თავის სიმამაცით იმპერატორ დიოკლეტიანეს ყურადღება მიიპყრო. მალე მისი პირადი მცველი და შემდეგ მისი მხედართმთავარიც გახდა. გიორგიმ მეფის წინაშე კერპთაყვანისმცემლობა დაგმო და ქრისტიანობა იქადაგა.

დიოკლეტიანემ როცა მისი გადაბირება ვერ შეძლო, მუცლის ლახვრით განგმირვა ბრძანა. ლახვარი წმინდანის ხორცის შეხებისას სანთელივით მოიდრიკა. ამის შემდეგ დიოკლეტიანემ წმინდა გიორგი ურმის თვალზე დააკვრევინა, დაღმართზე კი მახვილები დააგებინა, რის შედეგადაც მოწამის სხეული მრავალ ნაწილად დაჭრა, თუმცა ღმერთის ანგელოზის გარდამოსვლით წმინდა გიორგი მეყსეულად განიკურნა. ამ სასწაულმა მრავალი ადამიანი მოაქცია ქრისტეს რჯულზე.

ქრისტიანობა მეფის მეუღლე ალექსანდრიამაც ირწმუნა და დიოკლეტიანეს წინაშე უშიშრად აღიარა ჭეშმარიტი ღმერთი. მეფემ წმინდა გიორგის და ალექსანდრია დედოფლის სიკვდილით დასჯა ბრძანა. წმინდა გიორგის თავი მოჰკვეთეს, ხოლო ალექსანდრიამ ლოცვის შემდეგ უმახვილოდ განუტევა სული. ქრისტიანობისათვის წამებულ წმინდა გიორგის III-IV საუკუნეებიდან თაყვანს სცემენ არა მარტო მართლმადიდებლები, არამედ სხვა აღმსარებლობის მორწმუნეებიც. წმინდა გიორგის შესახებ ცნობები მაჰმადიანთა წმინდა წიგნში - ყურანშიც კი მოიპოვება. საქართველოში წმინდა გიორგის სახელზე ქვეყნის ყველა კუთხეში არაერთი სალოცავი შენდებოდა და შენდება. თბილისში წმინდა გიორგის სახელობის 20-მდე ეკლესიაა. სხვა მართლმადიდებლური ქვეყნებისგან განსხვავებით, გიორგობას მხოლოდ საქართველოში ზეიმობენ წელიწადში ორჯერ, რაც დიდმოწამისადმი პატივისცემისა და თაყვანისცემის ერთ-ერთი გამოხატულებაა. წმინდა გიორგის განსასვენებელი იერუსალიმის მახლობლადაა. წმიდა გიორგის სასწაულთაგან ყველაზე გამორჩეულია მის მიერ გველეშაპის განგმირვა, რის გამოც ქრისტიანულ სამყაროში ბოროტებაზე სიკეთის გამარჯვების სიმბოლოდაა აღიარებული.

წმიდა გიორგის ხსენების დღეს ღმერთმა გააძლიეროს და გაამთლიანოს სრულიად საქართველო. ამინ!

## უფლისადმი სიყვარულით

## კვიპროსში – სიწმინდეების მოსალოცად!




**ბორჯომის წმ. ილია წინასწარმეტყველის სახელობის ტაძრის წინამძღვარი დეკანოზი იოანე და მისივე ეკლესიის 60-მდე მრევლი მაღალყოვლადუსამღვდელოესის საჩხერისა და ჭიათურის, ბორჯომისა და ბაკურიანის ეპარქიების მიტროპოლიტ დანიელის ლოცვა-კურთხევით, რვა დღის განმავლობაში კვიპროსში იმყოფებოდა წმინდა ადგილების მოსალოცად.**

**აღსანიშნავია, რომ წლევანდელი წელი ისტორიული თარიღია მთელი ერისათვის და არამარტო საქართველოსათვის, არამედ მთელი მსოფლიოსთვის, რადგანაც ის ემთხვევა, ჩვენი უწმინდესისა და უნეტარესის ილია მეორის შობიდან ოთხმოცდაათ, ხოლო მისი პატრიარქობიდან ორმოცდახუთ წელს. სწორედ აღნიშნულ თარიღთან დაკავშირებით ერთგვარი სიმბოლური დატვირთვა ჰქონდა ბორჯომელი მრევლის მოგზაურობას კვიპროსში. მრევლმა 8 დღის განმავლობაში იქ არსებული ეკლესია-მონასტრები და სიწმინდეები მოილოცა. დეტალებზე და იქაურ შთაბეჭდილებებზე ტაძრის წინამძღვარს, მამა იოანეს (ხეცურიანი) და სამრევლოს რამდენიმე წევრს გავესაუბრეთ.**

**მამა იოანე:** – წლევანდელი წელი, არამარტო ჩვენი ერისათვის, არამედ მსოფლიო მართლმადიდებლური ქვეყნებისათვის მნიშვნელოვანია, რადგან ჩვენ ვართ ბედნიერები, რომ ვცხოვრობთ ჩვენი პატრიარქის ეპოქაში და წელს მისი საიუბილეო წელია. ეს არის საოცარი თარიღი. ჩვენ ყოველწლიურად ბორჯომის წმინდა ილია წინასწარმეტყველის ტაძრის სამრევლო მივემგზავრებით სხვადასხვა ტაძრების მოსალოცად, მაგალითად აგვისტოში ილიაობის შემდგომ კვირას ორასამდე ადამიანი საქართველოს სხვადასხვა კუთხეების, ეპარქიების მოსალოცად მივემგზავრებით 3-4 დღით, ხოლო შემოდგომის მიწურულს უკვე საზღვრებს გარეთ მივდივართ ღვთის მადლით. რაც შეეხება წლევანდელ წელს აღნიშნული მოლოცვა უნდა ყოფილიყო მიძღვნილი პატრიარქის საიუბილეო თარიღთან. გავემგზავრეთ კვიპროსში 60-მდე ადამიანი და ერთობით და სიყვარულით მოვილოცეთ უდიდესი სიწმინდეები, როგორიცაა: კიკოსის ყოვლადწმინდა ღვთისმშობლის ხატის სახელობის სავანე, მახერას ღვთისმშობლის

(გაგრძელება მეორე გვერდზე)

## ახლადგამშვენიერებული ტაძარი



**რამდენიმე თვის მანძილზე მიმდინარეობდა ბორჯომში მდებარე წმინდა გიორგის სახელობის ტაძრის გამშვენება . 2023 წლის 23 ნოემბერს გიორგობის დღესასწაულს მრევლი ახლად გამშვენებულ ტაძარში იზეიმებს. კონკრეტულად რა სახის სამუშაოები განხორციელდა ტაძარში, ტაძრის წინამძღვარი, მამა ილარიონ (პოსი) გვესაუბრება.**

– მაღალყოვლადუსამღვდელოესის, ჭიათურისა და საჩხერის, ბორჯომისა და ბაკურიანის მიტროპოლიტის, მეუფე დანიელის ლოცვა-კურთხევით ბორჯომში მდებარე წმინდა გიორგის სახელობის ტაძრის გამშვენება მიმდინარეობდა, რომელიც მოპირკეთდა ბოლნური ტუფით, სამუშაოებმა ოთხთვენახევარი გასტანა და ჩვენ მივიღეთ გალამაზებული ტაძარი. მადლობა მინდა შევწირო უფალს, წმინდა გიორგის, ვინც გამოიჩინა გულისხმიერება და გვერდში დაგვიდგა. მოგეხსენებათ, რომ ჩვენ არ გვყავდა ერთი კონკრეტული სპონსორი და მასში ბევრმა ადამიანმა მიიღო მონაწილეობა. უფალმა ყველას შეუწიროს ის გაღებული სიკეთე და წყალობა, რომ არ დაიშურეს ამ გაჭირვების ჟამს, როცა არის სიდუხჭირე, ეკონომიური გაჭირვება და ადამიანებს აღმოაჩდათ სულიერი რწმენა იმისა, რომ მოპოვებული ნაშრომი ტაძრისათვისაც გაეღოთ შესაწირის სახით და საბოლოოდ ერთობით მიიღო ასეთი სახე.

ვემზადებით წმინდა გიორგის დღესასწაულისათვის და 2023 წლის 23 ნოემბერს გალამაზებულ ტაძარში შევხდებით. მოგეხსენებათ, რომ წმინდა გიორგი, რომელიც ეწამა ქრისტესათვის ქართველმა ერმა განსაკუთრებით შეიყვარა. ამასთან დაკავშირებით პატრიარქმა და წმინდა სინოდმა დაადგინა მისი ყოველდღიური დღესასწაული, რადგანაც წმინდა გიორგი არის ბოროტების დამმარცხებელი. შევთხოვთ, რომ ჩვენც დავამარცხოთ ბოროტება და სიკეთის გზით ვიაროთ. სრულიად საქართველოს და ბორჯომის ეპარქიაში მცხოვრებ თითოეულ ადამიანს ვულოცავ გიორგობის დღესასწაულს, გამოვხატავ მათდამი მადლიერებას და ის მადლიანი საქმე, რაც ყველამ ერთად აღვასრულეთ გასაძლიერებლად ყოფილიყოს, ჩვენი ერის გამთლიანების, ქვეყნის მშვიდობისა და ქრისტეს მართლმადიდებელი სარწმუნოებით გვევლოს და გვეცხოვროს აწ და უკუნისამდე. უფალი იყოს ჩვენი შემწე და მფარველი.

ესაუბრა **ნატო მელიძე**

# ვულოცავთ ბორჯომის მოსახლეობას საქართველოს ევროკავშირის წევრობის კანდიდატის სტატუსის მინიჭებას

(პირველი გვერდიდან)

რადიკალური ოპოზიციის და ქართველთ მოძულე ძალების ლიდერებს ძალიან უნდათ შეამცირონ მოახლოებული საარჩევნო 5-პროცენტიანი ბარიერი. ესეც გასაგებია, კარგად იციან, რომ ამომრჩეველი ამჯერად არ აპატიებს წარსული წლების დანაშაულობებს, როცა ოპოზიციას მხარი დაუჭირა და პარლამენტში დეპუტატად აირჩია. სამწუხაროდ, განვლილი ოთხი წლის მანძილზე ამომრჩევლების სასიკეთოდ თითიც არ გაუნძრევიათ, არანაირ მონაწილეობას არ იღებდნენ ევროკომისიის მიერ საქართველოსთვის გამოგზავნილ 12 კითხვიანი დავალების შესასრულებლად. უფრო მეტიც, რადიკალური ოპოზიცია პარლამენტის სხდომებსაც არ ესწრებოდა, თუ ესწრებოდა, ყოველმხრივ ცდილობდა სხდომების ჩაშლას. ახლა, როცა საპარლამენტო არჩევნებისთვის მზადება დაიწყო, კვლავ კითხვის ნიშნის ქვეშ აყენებენ არჩევნების გაყალბებას, სახელმწიფოს რუსეთუმეობას, ხელისუფლების მოუქნელ საქმიანობას და სხვა თითიდან გამოწოვილ პრობლემებს. არადა საქართველოს ხელისუფლებამ ქვეყნისათვის უმძიმეს წლებშიც კი მოახერხა ეკონომიკური წინსვლა. სერიოზული წარმატებებია თითქმის ყველა სფეროში. განვლილ ორ წელიწადში რესპუბლიკის ბიუჯეტი მნიშვნელოვნად გაიზარდა და 28,5 მილიარდ ლარამდე გაიზარდა (როცა 2012 წელს ეს მაჩვენებელი 9 მილიარდს არ აღემატებოდა).

როგორც ირკვევა, სააკაშვილმა თურმე დემენციაც დაამარცხა, წელიწადნახევრის განმავლობაში წამლავდნენ და ვერ მოწამვლეს, საავადმყოფოს ფანჯრებიდან ასხივებდნენ და ვერაფერი დააკლეს, უკვდავი კაშჩეი გვყოლია და არ ვიცოდით. დროა ხელისუფლებამ მსჯავრდებული სასწრაფოდ გადაიყვანოს ციხეში და დაიწყოს ნაცმოძრაობის გასამართლების პროცესი - ითხოვენ პოლიტიკური მოღვაწეები, ისტორიკოსები, დიპლომატები, რიგითი მოქალაქეები, თუ ეს პროცესი დაიგვიანებს და ხალხი პრინციპული მონოზინი არ დასრულდება, შესაძლოა ხალხი ქუჩაში გამოვიდეს.

როგორც პოლიტიკოსები აცხადებენ, ნაცმოძრაობა არსებობის ბოლო პერიოდს ითვლის, დაშლის პირასაა და პუტჩი არ ესინჯება.

არჩევნებისათვის მზადება დაიწყო, გამოიკვეთა მთავარი პრიორიტეტები, ახლა ნაცმოძრაობა და სხვა პოლიტიკური პარტიები კობახიძის ნათქვამს იმეორებენ, როცა 1922 წელს განაცხადა, თუ ევროპარლამენტში მიგვიღებენ, იმ შემთხვევაში საარჩევნო ბარიერს დავწევთ და 5 პროცენტის ნაცვლად 2 პროცენტიან ბარიერს დავაკანონებთო. ოპოზიციას 5%-იანი საარჩევნო ბარიერის გადალახვის უნარი რომ არ აქვს, აქედანვე დაიწყეს პრეტენზიები.

ხომ გახსოვთ ნაცმოძრაობის ლიდერები, რომლებიც პარლამენტში არიან, ყველაფერს აკეთებდნენ აიმისათვის, რათა საქართველოს სტატუსი არ მიეღო ამ ხელისუფლების პირობებში. ახლა გამოდიან იქედნური ღიმილით და ვითომ უხარიათ სტატუსის მიღება და აცხადებენ: - სტატუსი ქართველმა ხალხმა მოიპოვა და არა ხელისუფლებამო, კი მაგრამ ეს ხელისუფლებაც ხომ ქართველი ხალხის არჩეულია. როგორც ჩანს, სინამდვილეში ბოღმით სკდებიან.

**გვახსოვს, როგორ დადიოდნენ ნაცმოძრაობის და რადიკალური ოპოზიციური პარტიების წარმომადგენლები ევროპარლამენტის ოფისის კორიდორში და იქაურ ევროპარლამენტარებს ეხვეწებოდნენ, საქართველო სტატუსს არ იმსახურებს და არ მიანიჭოთა, არ დაუჯერეს, არადა, წლების მანძილზე ოპოზიციას დესტრუქციული გამოსვლების მეტი არანაირი სიკეთე არ გაუკეთებია, ნაცმოძრაობას 2003 წლიდან 2012 წლამდე ხალხის და სახელმწიფოს წინაშე ჩადენილი არაერთი დანაშაულისათვის ერთხელაც არ მოუხდიათ ბოდიში. დასკვნები დღემდე არ გამოუტანიათ. საქმე ისე წაიყვანეს, ერთ-ერთი მრავალრიცხოვანი პოლიტიკური პარტია დაშლის პირამდე მიიყვანეს.**

„ქართული ოცნების“ წარმომადგენლები ახლა ხმამაღლა აცხადებენ, მხოლოდ 14 პარტია შემოვიდა 12-პუნქტიანი დასკვნის მუშაობაში მონაწილეობისათვის, მაგრამ ფაქტიურად, თითოოროლა წევრმა თუ მიიღო მონაწილეობა 12 პუნქტიან მოთხოვნის რეალიზებაში, ახლა ხმამაღლა აცხადებენ, რომ 12 პუნქტიდან მხოლოდ სამი შესრულდა, ქვეყნისათვის ისეთ მკრეხელურ ღალატს ადამიანი ვერ წარმოიდგენს.

ევროკავშირი უპირველესად ეკონომიკური გაერთიანება და პრაგმატულ პოლიტიკას აწარმოებს და საკუთარი ეკონომიკური ინტერესების საწინააღმდეგოდ ერთ ნაბიჯს არ გადადგამს. დღეს ევროკავშირი საქართველოს იყენებს იაფი მუშახელის წყაროდ. ადრეც ვწერდი, ევროპის ქვეყნები მწვავედ განიცდიან იაფი მუშახელის პრობლემას, ამიტომაცაა, რომ ევროპისკენ მიილტვის არამარტო საქართველოს მიგრანტები, არამედ პოსტსაბჭოთა, არაბული თუ აფრიკის ქვეყნების წარმომადგენლები. სწორედ ამ იაფი მუშახელის წყალობით დგას ფეხზე ევროპის ქვეყნები (გერმანია, ინგლისი, საფრანგეთი, იტალია, ესპანეთი და ა.შ.). დღეს ევროპის ქვეყნებში 300 ათასზე მეტი ქართველი მუშაობს და გამომუშავებული თანხის დიდ ნაწილს იქვე აბრუნებს, დამსაქმებლის ბიუჯეტს ზრდის, რაც წელიწადში ევროკავშირისათვის 5-6 მილიარდი ევროს დაზოგვის ტოლფასია, ამასთან საერთო ჯამში ევროკავშირის ქვეყნებსა და საქართველოს შორის სავაჭრო სალდო არათანაბარია. საქართველოსთან ვაჭრობით ევროკავშირი 10-12 მილიარდ ევროს სარგებელს ნახულობს. საქართველოს სარგებელი ამ ვაჭრობიდან 12-ჯერ ნაკლებია იმ მოგებასთან, რომელსაც საქართველოსთან ვაჭრობით იღებს.

საქართველოსთან ევროკავშირში შესვლის უპირველესი მიზანი ისაა, რომ დაჩქარდეს ჩვენი რესპუბლიკის საწარმოების მოდერნიზაცია და ევროპულ სტანდარტებზე გადაყვანისათვის თანხების გამოყოფა ჯერჯერობით რეალურ დახმარებაზე საუბარი არ დაწყებულა.

ევროკომისიამ კი გასცა საქართველო ევროსაბჭოს კანდიდატის, მაგრამ ახლა მეორე დილემის წინაშეა საქართველო. დეკემბრის პირველ დეკადაში ევროსაბჭოს 27 სახელმწიფომ ერთხმად უნდა დაუჭიროს მხარი საქართველოს წევრობის კანდიდატად მიღებას, ერთმაც რომ უარი განაცხადოს, კანდიდატად არ მიგვიღებენ.

დაველოდოთ დეკემბრის დასაწყისს. ახლა მხოლოდ ღმერთის იმედი გვაქვს და ვინძლო უფლის წილხვედრი ქვეყანა არ დარჩეს ამ დიდი მოვლენის და აღიარების გარეშე.

იმედი ვიქონიოთ, საქართველოს ევროპის 27 სახელმწიფო ხმას მისცემს ევროსაბჭოში მიღებას. ეს კი ნამდვილად დიდი მონაპოვარი იქნება ჩვენი ქვეყნისათვის და ქართველი ერისათვის.

ვალერიან ლომიძე.

## დაფასებული ღვაწლი

# საქართველოს კურორტოლოგიის ფუძემდებელი



**ჩეხეთის** სათვისტომოს ინიციატივითა და ბორჯომის მუნიციპალიტეტის და ჩეხეთის საელჩოს ორგანიზებით, ბორჯომის ცენტრალურ (ისტორიულ) პარკში, ჩეხი ექიმის და საზოგადო მოღვაწის **იან (ივანე) პრიბილის** მემორიალური დაფა გაიხსნა.

მემორიალური დაფის გახსნის ცერემონიას, ბორჯომის მუნიციპალიტეტის მერი **ოთარ არბოლიშვილი,** საკრებულოს თავმჯდომარე **დავით ზაალიშვილი,** ჩეხეთის რესპუბლიკის ახალი ელჩი საქართველოში **პეტრ კუბერნატი,** სათვისტომოს წარმომადგენლები, **იან (ივანე) პრიბილის** შთამომავალი და საზოგადოების წევრები ესწრებოდნენ.

ბორჯომის მერის **ოთარ არბოლიშვილის** განცხადებით, იან (ივანე) პრიბილის სახელი უკავშირდება XIX საუკუნეში თბილისში, ისნის რაიონში, პირველი



სამხედრო ჰოსპიტალის მშენებლობას და კურორტოლოგიის დარგის განვითარებას. იან პრიბილმა საქართველოში 50 წელზე მეტი იცხოვრა, შეისწავლა ქართული ენა და ეწეოდა საზოგადოებრივ საქმიანობას.

- ბორჯომის პარკში გავხსენით დამსახურებული და ცნობილი ჩეხი ექიმის, იან პრიბილის, მემორიალური დაფა. იან პრიბილის სახელს უკავშირდება ქართული კურორტოლოგიის ჩამოყალიბება და პირველი სამხედრო ჰოსპიტლის დაარსება. მან დიდი წვლილი შეიტანა ბორჯომის ბალნეოლოგიის განვითარებაში, - განაცხადა ბორჯომის მერმა.

ბორჯომის მუნიციპალიტეტის მერმა **ოთარ არბოლიშვილმა,** საკრებულოს თავმჯდომარემ **დავით ზაალიშვილმა,** ჩეხეთის რესპუბლიკის ელჩმა **პეტრ კუბერნატმა** და საზოგადოების წევრებმა ღონისძიებაზე დამსწრე საზოგადოებას სიტყვით მიმართეს და იან (ივანე) პრიბილის ცხოვრებისა და საქმიანობის შესახებ ისაუბრეს.

ღონისძიების დასასრულს **ოთარ არბოლიშვილმა და პეტრ კუბერნატმა** საზეიმოდ გახსნეს იან პრიბილის მემორიალური დაფა.

**ივანე პრობილი იყო მედიცინის დოქტორი, ქირურგი. მან განათლება ჯერ პრაღაში და შემდეგ ვენაში მიიღო, ამის შემდეგ სამუშაოდ რუსეთში გაემგზავრა, საიდანაც საქართველოში გამოაგზავნეს ერთ-ერთი პოლკის ექიმად. ივან პრიბილის სახელთან არის დაკავშირებული საქართველოს ბალნეო-კლიმატურ (ახტალა, ბორჯომი, აბასთუმანი) სიმდიდრეთა ათვისება. მან ჩაუყარა საფუძველი ქართულ კურორტოლოგიას. მანვე დააარსა თბილისში პირველი სამხედრო ჰოსპიტალი, რომლის მთავარი ექიმიც თავად იყო, ის კავკასიის სამედიცინო საზოგადოებისა და პეტერბურგის ექიმთა საზოგადოების საპატიო წევრი გახლდათ, ამასთან ხელმძღვანელობდა შავი ჭირისა და ქოლერის წინააღმდეგ ბრძოლის კომისიას.**

# კვიპროსში – სიწმინდეების მოსალოცად!

(პირველი გვერდიდან)

ხატის სახელობის მამათა მონასტერი, ეს ორი წმინდა სავანე უშუალოდ ღვთისმშობლის გამოცხადებით დაარსდა და იქ დაბრძანებული ხატები კურნავს და სიხარულით ავსებს მთელი მსოფლიოდან ჩამოსულ მისულ ადამიანს. ასევე მოვილოცეთ ქ. ლარნაკაში წმ. ლაზარეს საფლავი და მისი სიწმინდეები, ასევე სტავროვუნის მამათა მონასტერი, სადაც დედაკაცების შესვლა აკრძალულია, რადგანაც წმინდა მიწად არის შერაცხული აღნიშნული ტერიტორია და ამ სავანეში დაბრძანებულია ცხოველმყოფელი პატიოსანი ჯვრის წმინდა ნაწილი. მოვილოცეთ წმინდა თეკლას სავანე და მისი წმინდა ნაწილები.

ყოველდღიურად ხდებოდა სამოთხე ელესია-მონასტრის მოლოცვა. ამ ყველაფრისათვის მზადება კი 2-3 თვით ადრე დაიწყეთ, რისთვისაც იზრუნა ჩვენმა საორგანიზაციო ჯგუფმა, რომელიც შედგება ჩვენი ტაძრის სულიერი შვილებისაგან და მათ განაწილებული აქვთ საკუთარი ფუნქციები: ტრაპეზს ერთი ჯგუფი აკონტროლებს, ჯგუფის დოკუმენტაციას და მოგზაურობის გეგმებს ერთი ჯგუფი, ტრანსპორტირების საკითხს სხვა, მაისურების საკითხს სხვა ჯგუფი. ბოლოს კი ამ ყველაფერს ვაჯამებთ ერთად და ეს ისტორიული დღეებიც იბადება.

**– ტრადიციულად ერთი ფერის მაისურებში იყავით შემოსილი, როგორი ემოციებით გხვდებოდათ იქაური მოსახლეობა და ქართველი ემიგრანტები?**




– დიახ, ერთი ფერის მაისურებში იყო მრევლი შემოსილი, რომელსაც ზურგზე ეწერა „საქართველოს ეკლესია“ და გულზე „ბორჯომის წმ. ილია წინასწარმეტყველის სამრევლო“ და მკლავზე დატანილი იყო „45/90“, რომელიც უწმინდესის იუბილის გამომხატველი გახლდათ და როდესაც უცხოელები ინგლისურენოვან წარწერებს კითხულობდნენ, აინტერესებდათ, რას ნიშნავდა აღნიშნული რიცხვები და ჩვენ სიამაყით ვუხსნიდით, რომ ეს იყო ეპოქალური პატრიარქის, მსოფლიოს მნიშვნელობის მოძღვრის საიუბილეო თარიღი და არამარტო სასულიერო დასში, არამედ საერო ადამიანებშიც ეს იწვევდა საოცარ ინტერესს და პატივისცემას.

იქ ყოფნის კვირა დღეს წმ. ანდრია პირველწოდებულის სახელობის ტაძარში დეკანოზ ზაქარია ფერაძესთან ერთად ქართულ სამრევლო ტაძარში, ქართველ ემიგრანტებთან ერთად აღვასრულეთ საღვთო ლიტურგია, სადაც ჩვენი მრევლი ეზიარა. რაც შეეხება ადგილობრივ სასულიერო პირებს მონასტრებში, ცდილობდნენ რითი გავეხარებინეთ, რითი გაგვმასპინძლებოდნენ. იქ მცხოვრები ემიგრანტებიც ცდილობდნენ ყოველდღიურად ყურადღება მოეწყოთ და ისიც კი გვითხეს, რომ 8 დღის მანძილზე თქვენ დაგვავიწყეთ საქართველოს მონატრება.

**ნინო საბაშვილი:** – ტაძარი ჩვენი რწმენის სიმყარისა და სულიერი სიძლიერის ცენტრია, რადგან მხსნელი და მისი დოქტრინა შუაგულია, ხოლო შეკვრილი სულიერ მოძღვარი. ყოველივე, რაც ტაძარში იწყება, მითითებებისა და სულიერების მეშვეობით, წრდის ჩვენ მიერ უფლის შეცნობას. მისი აუცილებელი წეს-ჩვეულებები, მღვდლობის წმინდა ლოცვები მეშვეობით შეგვეკრავს უფალთან და ეს შესაძლებელი რამდენიმე წელია ჩვენთვის უკვე მამა იოანეა, რომელიც გვეხმარება სულიერების კარის გაღებაში. იგი გვასწავლის და წინ მიგვიძღვის რათა განწინდებულიყო თუ როგორ გავხნით საბურველი ცასა და დედამიწას შორის. მისი დაუღალავი ენერგია და ბეჯითი მცდელობები ამ მიმართულებით აძლიერებს და ამყარებს ჩვენს სულიერ სიძლიერეს. ვფიქრობ, რომ მომლოცველ ტურებს უდიდესი მნიშვნელობა და როლი აქვს თითოეული ჩვენთაგანის სულიერებისა და ზრდისათვის. მრევლს საშუალება ეძლევა ეზიაროს მართლმადიდებლურ სიწმინდეებს და უკეთ გაეცნოს ქვეყნის ისტორიას, ასევე, იმ კუთხის ადათწესებს, სადაც მოეწყობა ტურისტული მარშრუტი. წასვლა და დაბრუნებაც. მსგავსი მომლოცველობითი ტურები საშუალებას გვაძლევს, რომ საქართველო არავის დავავიწყოთ და ჩვენთვის ამას კიდევ სხვა დიდი დატვირთვა აქვს. მოლოცვისას საკუთარ თავში აღმოჩენილ რწმენას, ძალას და შევხვდებით ადამიანებს, რომლებიც საუბედოდ დაიდებენ ბინას თქვენს გულებში. ძალიან სიტყვებით გადმოსცეო ის მღელვარება, რაც ტაძრების და სიწმინდეების მოლოცვის დროს გვეუფლება. ყველა ადამიანი საკუთარ ენაზე ადიდებს უფალს. აქ ცრემლის ხმაც ისმის. თუ ოდესმე საზღვარგარეთ მოსალოცად ტაძრებში მოხვდებით, ზუსტად გაიგებთ, რას ვგულისხმობ. ხანდახან საუბრის გარეშე სიტყვა ჩამოწვება და ეს გარინდებაც ხმაურობს. დიდებული მისამლენა ამ დროს ქართულად აღვლენილი გალობა ღვთისმშობლისადმი, ბუტბუტით, მაგრამ მხურვალედ, გულიდან ამოსული სავედრებელი ლოცვები...

მადლობას ვუხდი უფალს და მამა იოანეს ამ დიდებული მოლოცვის საშუალებისათვის.

**ლიკა ქანთარია, მრევლი:** – ამ წლების განმავლობაში ქვეყნის ფარგლებში არსებულ ეკლესია-მონასტრებს თუ არ ჩავთვლით, მოვილოცეთ: იტალია (სრულად), კაბადოკია, ტრაპიზონი და მის ირგვლივ მდებარე ეკლესია-მონასტრები, ტაოკლარჯეთი ა.შ.

რაც შეეხება კვიპროსს, მინდა გითხრათ, რომ ყოველდღიურად 3-4 მონასტერს ვსტუმრობდით და იმდენად ემოციური იყო, რომ ცრემლებამდეც კი მივდიოდით, დიდი მადლობა მამა იოანეს ამ ემოციებისთვის, რომელიც ქვეყანაში ჩამოსვლის შემდეგ კიდევ უფრო მეტად გამიძლიერდა. საოცრად ბევრი მრევლი გვყავს და საწუხაროდ ბევრი ვერ ახერხებს მოსვლას, რადგან ეს ფიზიკურად შეუძლებელია, თუმცა მინდა გითხრათ, რომ ჩვენი მოგზაურობის დროს დილა იწყებოდა ჩვენი სულიერი მოძღვრის მიერ ჩვენი რიგების, იმ ადამიანების მოხსენებით, ვისი წამოსვლაც ვერ მოხერხდა და მერე ჩვენი, რომლებიც იქ ვიყავით.

**სოფიო ლომიძე, მრევლი:** – ზღვა შთაბეჭდილებებით ვარ აღსავსე. თითოეული ტაძარი იყო განსხვავებული და დასამახსოვრებელი, საოცარი ემოციებით აღმავსო წმინდა ლაზარეს საფლავის, როდესაც მის ტაძარს შევედი. სადაც მისი აკლდამაა, რაღაც უხილავი ძალა ვიგრძენ და ცრემლები თავისით მომდიოდა. გავუჩინდა ბედნიერება, რომ აღნიშნულ ტაძარში ჩასვლის დღეს გვქონდა და წამოსვლის დღესაც. საოცარი სიწმინდეები მოვილოცეთ, სიყვარული და ერთობა და სიყვარული. ყოველდღიური პარაკლისებით კიდევ მეტად სხვა მადლმოსილი ძალებით ავივსეთ. დიდი მადლობა მამა იოანეს ზღვა ემოციებისთვის, იმ შესაძლებლობისთვის, რომ გვაძლევს საშუალებას ასეთ სიწმინდეებს ვეხებოდეთ და ასეთ დღეებს ვატაროთ ჩვენ ცხოვრების ისტორიაში.

ესაუბრა ნატო ბელიძე

წიგნის თარო

# ერის დიდმა საუნჯემ დღის სინათლე იხილა!




**დღის** სინათლე იხილა **„მესხური ფოლკლორის“** მეორე ტომმა. ფოლკლორული მასალების შემგროვებელს და გამომცემელ-რედაქტორს „ლიტერატურული მესხეთის“ რედაქტორს, შესანიშნავ ლიტერატორს და ღირსეულ მამულიშვილს ბატონ ავთანდილ ბერიძეს გულწრფელი მადლობა და აღიარება იმ მეტად მძიმე და დაუღალავი შრომისათვის, რომელიც მან გასწია ამ მეტად დიდი და მამულიშვილური ღვაწლისათვის, რომელიც 1000 გვერდიან კრებულშია თავმოყრილი და მოიცავს სამცხე-ჯავახეთის მხარის მუნიციპალიტეტებში მოღვაწე სახალხო მთქმელების, ხალხური პოეზიის მოყვარულების, ეთნოგრაფების, ისტორიკოსების მიერ დაწერილ, შეგროვებულ და სათუთად დაცულ შემოქმედებით ფოლიანტებს.

აღსანიშნავია, რომ „მესხური ფოლკლორის“ I ტომის გამოცემიდან შვიდი წელი გავიდა. რედაქტორის დაუღალავი შრომის შედეგად საქართველოს მუზეუმებში, არქივებში და ფოლკლორულ ცენტრებში ხალხური ზეპირსიტყვიერების უამრავი საინტერესო მასალა გამოვლინდა, რამაც მეორე ტომის გამოცემამ ვერ დაიტია და დღის წესრიგში დადგა მესამე ტომის გამოცემის საკითხი.

როგორც „მესხური ფოლკლორის“ მეორე ტომის გამომცემელ-რედაქტორმა ბატონმა ავთანდილ ბერიძემ გვითხრა (პირველი ტომიც მისი მომზადებულია). ხანგრძლივი მუშაობის შედეგად ხალხური ზეპირსიტყვიერების ნიმუშები მოვიძიეთ სამცხე-ჯავახეთში მოღვაწე ფოლკლორისტების **ნიკო ასათიანის, გიორგი გოგოლაძის, ილია მაისურაძის, ვახტანგ სუდაძის, ვალერიან მაღრაძის, შოთა ლომსაძის, გიორგი ზედგინიძის, არსენ კარაპეტიანის** არქივებში დაცული მათ მიერ შეგროვილი ლექსები, ლეგენდები და თქმულებები, აშუღური სიმღერები და სხვა დოკუმენტები.

მეორე ტომში ცალკე თავი ეძღვნება ეპიტაფიებს და შელოცვებს, რომელიც მკითხველს დააინტერესებს.

„მესხური ფოლკლორი“ შესანიშნავი საჩუქარია მკითხველისათვის, რომელშიც მკაფიოდ იკვეთება ჩვენი სამშობლოს ეპოქალური მოვლენების ხალხური თვალსაწიერიდან დანახვა და მისი თაობიდან თაობამდე გადმოცემა, ამასთან მნიშვნელოვან წარმოდგენას გვიქმნის იმ პერიოდებზე, როცა ეს ხალხური, პოეზიის ნიმუშები იქმნებოდა.

შესანიშნავი ნაშრომის შესახებ აუგი არ გვეთქმის, სამწუხაროა მხოლოდ ის, რომ ბორჯომის მუნიციპალიტეტიდან მეტად მწირი მასალებია, ამ მეტად სქელტანიან წიგნში შეტანილი. მხოლოდ რამდენიმე ხალხური პოეზიის ნიმუში, რომელიც ბორჯომის მხარეთმცოდნეობის მუზეუმშია დაცული ეკუთვნის **ბალანთელ სიმონ, ვასილ, ტიმოთე, ალექსანდრე და შალვა მელიქიძეებს, ჭიხარულელ სერგო ბარძიმაძეს, გიორგი ზედგინიძეს,** ბორჯომის მხარეთმცოდნეობის მუზეუმში დაცული ახალქალაქის რაიონის სოფელ კოთელიის მკვიდრების **ვალიკო ფანჯაკიძის, თედო კარაპეტიანის, იროდიონ ანანიაშვილის, ილია ბერუაშვილის, სოლო ზურაბიშვილის** ნამუშევრები (1947 წლის 12 აგვისტოს ექსპედიციის მასალები).

ბორჯომელ სახალხო მთქმელთა შორის არის საკირელი ვლადიმერ თაბუკაშვილის შესანიშნავი ლექსები, რომელსაც ავტორი გაზეთ „ბორჯომში“ აქვეყნებდა.

ცალკე აღნიშვნის ღირსია ბალანთელი 87 წლის სახალხო მთქმელის **ალექსანდრე მელიქიძის** ლექსები, რომელიც 2019 წელს დაუწერია (ამ ლექსებს დიდი სიამოვნებით გამოვაქვეყნებთ).

მინდა გულისტკივილით აღვნიშნო, რომ ბორჯომის მუნიციპალიტეტში ცხოვრობენ შესანიშნავი სახალხო მთქმელები, პოეტები, ეთნოგრაფები, რომლებიც სისტემატიურად აქვეყნებენ თავიანთ შემოქმედებას ჩვენს გაზეთში, სამწუხაროდ, მათი ნაშრომები ამ დიდებულ წიგნში არ აისახა.

როგორც შევიტყვეთ, მეორე ტომის ავტორმა ბატონმა ავთანდილ ბერიძემ უკვე დაიწყო მესამე ტომის გამოცემისათვის მოსამზადებელი სამუშაოები, იქნებ ამჯერად მაინც მივაწვდინოთ ბორჯომელ ფოლკლორისტთა ნაშრომები გამოსაქვეყნებლად.

და ბოლოს, აღსანიშნავია ისიც, რომ „მესხური ფოლკლორის“ მეორე ტომის გამოცემის საქმეში ღირსეული წვლილი შეიტანეს საქართველოს პარლამენტის დეპუტატმა **ანტონ ობოლაშვილმა,** სახელმწიფო რწმუნებულმა სამცხე-ჯავახეთის მხარეში **ბესიკ ამირანაშვილმა,** ფინანსური დახმარება გაუწიეს ადიგენის, ასპინძის, ახალქალაქის, ახალციხის, ბორჯომის, ნინოწმინდის მუნიციპალიტეტების მერებმა **გოჩა ქიმაძემ, როსტომ მაგრაქველიძემ, მელქონ მაკარიანმა, ირაკლი ლაზარაშვილმა, ოთარ არბოლიშვილმა და ანივარდ მოსოიანმა**. მადლობა მათ ამ მეტად ეროვნული და სახელწიფოებრივი საქმის კეთილად დაგვირგვინებაში ღირსეული წვლილის შეტანისათვის.

ამ შესანიშნავი გამოცემის რედაქტორია **რუსუდან ბერიძე,** ტექნიკური რედაქტორი - **ქეთევან დავლაშელიძე,** კომპიუტერული უზრუნველყოფა ეკუთვნით **ირმა ჯიშკარიანს** და **ხატია ჩიგოშვილს,** კორექტორია **ეკა დავითაშვილი,** ხოლო რეცენზენტია ფილოლოგიურ მეცნიერებათა დოქტორი **მერაბ ბერიძე.**

დასანანია, რომ ამ მშვენიერი წიგნის ტირაჟი ერთობ შეზღუდულია.

**ვალერიან ლომიძე.**

წიგნის პრეზენტაცია

# „უფალი სუფევს“

**30 ოქტომბერს, თბილისში, პარლამენტის ეროვნულ ბიბლიოთეკაში გაიმართა ბორჯომელი ექიმი ქალბატონის, ოლიკო ლომიძის ახალი მეექვსე ლექსების კრებულის პრეზენტაცია, რომლის სახელწოდებაა - „უფალი სუფევს“.**



კრებულში გამოქვეყნებული ლექსები ცნობილმა პოეტებმა და ფილოლოგებმა წარუდგინეს დამსწრე საზოგადოებას. ღონისძიებაზე პოეტის შვილებმა და შვილიშვილებმა წაიკითხეს ლექსები: „ჩემო სამშობლო“, „ხარება“, კათოლიკოს პატრიარქის ილია მეორისადმი მიძღვნილი ლექსი.

მეგობრები, თანაკლასელები და კურსელები ერთმანეთს ცვლიდნენ, რათა საღამო ქალბატონი ოლიკოსთვის გაელამაზებინათ. კვარტეტი „გინატრე“-ს წევრებმა **ილია წიქარიშვილმა,** დებმა **ელისო და ნინო ღვინეფაძეებმა, გიორგი ავალიშვილმა** სულში ჩამწვდომი ქართული სიმღერებით მონუსხეს მსმენელები.




## წმინდა გიორგის

შენა ხარ სახე ჩვენი ქვეყნისა,
ჩვენ ხომ ერთი გვაქვს სული და გული,
გეორგიაა ჩვენი სახელი,
საქართველოა სისხლით მორწყული!
შენ ხარ მხედარი მხნე, უძლეველი,
მტერს ხომ ხილულად ბევრჯერ ეომე,
წინ შენ უძღოდი, შენ ამხნევებდი,
ქრისტეს მოყვარე ქართველ მეომრებს.
მეფეთა იმედს, ერთგულ წინამბრძოლს,
თაყვანს გცემთ, გაქებთ, იდიდე მარად,
გვიწინამძღვრე და გაგვაძლიერე,
და ექმენ ჩვენს ერს ხმალად და ფარად.
უწინ ხმლით ვკვეთდით მოძღვრს და დუშმანს,
შენ მუდამ გვერდით გვედექი ქართველთ,
ახლა კი, ლოცვის მოგვეცი ნიჭი,
რომ მტერს სიბრძნით და სიმტკიცით დავხვდეთ.
მოგვეცი ქართველთ ნიჭი გატანის,
სიყვარულის და ერთგულებისა,
ულალატობის, მარხვის და ლოცვის,
უფლის მცნებების შესრულებისა.
დღესაც ბრძოლაა, ოღონდ სხვაგვარი,
არცთუ იოლი, საკუთარ თავთან,
ღვაწლით მოსილო დიდო მოწამევ,
შენ მიგვიყვანე სამოთხის კართან.

უამრავ თბილ, სიტყვებსა და მილოცვებთან ერთად საღამოს უდიდესი სითბო შესძინა მისმა წაკითხულმა ლექსებმა **„ჩემს მშობლებს“, „იესო ტკბილო“.** შეხვედრა დაასრულა თავად პოეტმა ლექსებით - „ბზობა“, „უკვდავ სულს, რომელიც ჩემშია“.

კრებული უსასყიდლოდ გადაეცა დამსწრე საზოგადოებასა და სხვადასხვა ტაძრის მრევლს.

- მადლობას ვუხდი ბორჯომის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარეს ბატონ **დავით ზააალიშვილს** მხარდაჭერისთვის, რომელმაც თავისი კეთილი ნებით წიგნის გამოცემის ფინანსური მხარე უზრუნველყო, - გვითხრა ქალბატონმა ოლიკო ლომიძემ.

მოამზადა **ია იანვარაშვილმა**

ვიცოდეთ ჩვენი ხეობის ისტორია

# რას წერდნენ უცხოელი ავტორები ბორჯომის შესახებ



**რუსი დიპლომატი ელიმ პავლეს ძე დემიდოვი დაიბადა 1868 წლის 6 აგვისტოს ხისტინცში (ვენაში). მამამისი იყო სან-დონატოს თავადი. ელიმს 1891 წელს იტალიის მეფისაგან მემკვიდრეობით სან-დონატოს თავადის ტიტული გადაეცა.**

**ელიმ დემიდოვი მუშაობდა რუსეთის საგარეო საქმეთა სამინისტროში. იგი წლების განმავლობაში იყო რუსეთის სამეფოს დიპლომატი სხვადასხვა ქვეყნებში; მაგრამ სამსახურს არასერიოზულად უდგებოდა.**

**ელიმ დემიდოვის მეუღლე იყო კავკასიის მეფისნაცვლის გრაფ ილარიონ ვორონცოვ-დაშკოვის ქალიშვილი სოფიო იგი ქმართან ერთად ცხოვრობდა საბერძნეთში, სადაც სათავეში ედგა საქველმოქმედო ორგანიზაციას და საკუთარი ხარჯით ეხმარებოდა გაჭირვებულ თანამემამულეებს.**

**ელიმ დემიდოვი გარდაიცვალა 1943 წელს ათენში და დაკრძალულია იქვე, საელჩოს წმ. სამების ეკლესიაში. მეორე მსოფლიო ომის შემდეგ სან-დონატოს ვილა გადავიდა ფლორენციის ადმინისტრაციის დაქვემდებარებაში.**

**ელიმ დემიდოვი გატაცებული იყო ნადირობით. იგი 1890-იან წლებში ბორჯომში დიდ მთავარს ნიკოლოზ მიხეილის ძე რომანოვს ამ მიზნით სტუმრობდა. მან 1898 წელს ლონ დონში ინგლისურ ენაზე გამოსცა თავისი მოგზაურობის დღიურები „ნადირობა კავკასიაში“.**

მისმა საიმპერატორო უმაღლესობამ, დიდმა მთავარმა ნიკოლოზმა, დიდი მთავრის მიხეილ ნიკოლოზის ძის უფროსმა ვაჟმა, კავკასიის ყოფილმა მეფისნაცვალმა, დიდი პატივით მიიწვია დ. თავის ბორჯომის რეზიდენციაში და როდესაც გაიგო, რომ მას თან ვახლდი, მეც დამპატიჟა დ-მ დიდ სიამოვნებით მიიღო მოწვევა და თბილისიდან მატარებლით გავემგზავრეთ - ბორჯომში თბილისიდან ბორჯომამდე მანძილი დაახლოებით ექვს საათს შეადგენდა.

ზოგიერთ სადგურზე ჩვენ შევამჩნიეთ კაცების ჯგუფი, რომელთა ჩაცმულობის ძირითად თავისებურებას წარმოადგენდა სპეციალური ფორმის ქუდები, რაც მიანიშნებდა დაჯგუფების (მიმდინარეობის) წევრობაზე დუხობორები. მათი რელიგიური სწავლება გარკვეულწილად ჰგავს ბიბლიის მკითხველს და ვინაიდან უარი თქვეს სამხედრო სამსახურზე, მათ აბრუნებდნენ თავიანთ რეგიონებში.

მიხაილოვოში ჩასვლის შემდეგ, რომელიც ატარებს დიდი მთავრის სახელს, გავემგზავრეთ ბორჯომში დიდი მთავრის მიხეილის მიერ გახსნილი გზით. ბორჯომთან მიახლოებისას ქვეყანა გახდა უფრო მთიანი და ხეობის გავლით, რომელიც მოქცეული იყო ფიჭვით დაფარულ მთებს შორის, ჩავედით დანიშნულების ადგილზე. სადგურში დაგვხვდა დიდი მთავრის ხელქვეითები, რომლებმაც გვითხრეს, რომ მისი უდიდებულესობა გველოდებოდა სადილად და ჩვენც დაუყოვნებლივ გავემგზავრეთ დიდ ვილაში, რომელიც მდებარეობდა ორ მილში, მისი უდიდებულესობა კიბეზე იდგა და გველოდებოდა, სუფრაც გაშლილი ჰქონდათ. დ.- ს და ჩემს გარდა იქ იყვნენ: პროფესორი რადე, ცნობილი ზოოლოგი და ენტომოლოგი, დოქტორი სივერსი, რომელიც იყო დიდი მთავრის მდივანი და ეხმარებოდა მას მწერებთან დაკავშირებულ სამეცნიერო კვლევებში. მე ძალიან მოხიბლული ვიყავი დიდი მთავრის დამოკიდებულებით, რომელმაც თავისი საუბრით და თავაზიანი მოპყრობითი უხერხულობას ამარიდა. მე საკმაოდ გაოცებული დავრჩი იმ ფაქტით რომ ის ძალიან კარგად იცნობდა ინგლისელ ხალხს და მათ კულტურას. ჩემზე აგრეთვე დიდი შთაბეჭდილება მოახდინა მისმა დაინტერესებამ სამეცნიერო საკითხებთან დაკავშირებით. მისი უდიდებულესობა ქერცლფრთიანების (პეპლების სახეობა) საკმაოდ კარგი მცოდნეა და მისი კოლექცია არის ერთ-ერთი ყველაზე მშვენიერი და სრულყოფილი მსოფლიოში.

პროფესორმა რადემ, რომელსაც თავისი ნაშრომებით კარგად იცნობენ ზოოლოგთა და ბოტანიკოსთა წრეებში და რომელმაც თბილისის მუზეუმი გახადა ასეთი სრულყოფილი, კავკასიაში არსებული ფაუნისა და ფლორის შესახებ ღირებული ინფორმაცია მოგვაწოდა, რომელიც მან თავად გამოიკვლია. მან გარკვეულწილად იმედები გაგვიცრუა ლაგუეუზ მთებში ნადირობასთან დაკავშირებით და გვითხრა, რომ ბოტანიკური ექსკურსიის დროს არ შეხვედრია ასეთი სახის ნადირობა (შეჯიბრი). მისი მონათხრობი არარატთან დაკავშირებით ნამდვილად არ იყო სახარბიელო. აგრეთვე, მან გვითხრა, რომ ჯიხვის ნახვა შესაძლებელი იყო დიდ ჯოგებად ნახიჩევანში და არაქსზე. მეორე დილით, კვირა დღეს, ჩვენ ვეწვიეთ დიდ მთავარს, მიხეილს, ძველ ვილაში. კავკასიური ცხოველების რქების კოლექციამ ჩვენში ამბიცია და ენთუზიაზმი გამოიწვია ექსპედიციასთან მიმართებაში. ქალაქში გასეირნებამ საშუალება მოგვცა გვენახა ელიტა, რომლებიც დასახლდნენ ასეთ სასიამოვნო ადგილას იმისათვის, რომ მიეღოთ აბაზანები და დაელიათ წყლები, რამაც ქალაქი ასეთი პოპულარული გახადა.

იქ ყველაფერი კომფორტული და მდიდრული იყო.

ქალაქი ძირითადად შედგება ულამაზე ვილებისგან, რომლებიც მიმოფანტულია ზემო მტკვრის სანაპიროების გასწვრივ; ნაყოფიერი მცენარეულობა და მხატვრულად გაშენებული ბაღები ამ ადგილს ხდის ერთ-ერთ ულამაზეს და საუკეთესოს დედამიწაზე. ჩვენ ძალიან ცოტა დრო გვქონდა ქალაქის დასათვალიერებლად, რადგან უნდა დავბრუნებულიყავით დიდი მთავრის ვილაში, - სადაც ბუხარის ემირს და მის ამალას ელოდნენ სადილად.

ემირის დახვედრა ძალიან შთამბეჭდავი იყო. როდესაც მოვიდა აღმოსავლეთის მბრძანებელი, რომელსაც თან ახლდა თავისი ვაჟი და პრემიერ მინისტრი, დიდი მთავრის სამხედრო ორკესტრმა, რომელიც შედგებოდა ორმოცი ძლიერი წევრისგან, დაიწყო შესაბამისი მუსიკის დაკვრა და მისმა უდიდებულესობამ შესაფერისი ზარ-ზეიმით მიიღო თავისი სახელგანთქმული სტუმრები. ემირი, რომელსაც ეცვა აღმოსავლური ტანსაცმელი, ეკეთა კაზაკთა ლეგიონის ეპოლეტები და ორი მდიდრული ქვებით გაწყობილი ორდენი; აქედან ერთი მას გადასცა რუსეთის გარდაცვლილმა იმპერატორმა, რომელზეც გამოსახული იყო მისი მინიატურული პორტრეტი, ხოლო მეორე ორდენი მან მიიღო ამჟამინდელი იმპერატორისგან. დიდ მთავარს, მის ოფიცრებს და მოახლეებს ემირის საპატივცემულოდ ეკეთათ მის მიერ ბოძებული შესაბამისი ხარისხის ორდენები.

**იქ აგრეთვე იმყოფებოდა ემირის პრინცესა თამარი და მისი ორი ქალიშვილი - პრინცესა ელისაბედი და პრინცესა ეკატერინე, რომლებიც მიუხედავად ქართული წარმომავლობისა - არიან რა ბოლო ქართველი მეფის პირდაპირი შთამომავლები, რითაც ძალიან ამაყობენ იყვნენ ევროპელები თავიანთი მანერებით, ჩვეულებებით და ჩაცმულობით.**

**ისინი არაჩვეულებრივად საუბრობდნენ ინგლისურ ენაზე. მათ ისაუბრეს შამილის მიერ ხანგრძლივი წინააღმდეგობის გაწევის შესახებ რუსეთის ოკუპაციის მიმართ. პრინცესას ჰქონდა ამ მთიელის მიერ ექსპლუატაციის გაწევის ძრადი გამოცდილება, რადგან, ბავშვობაში თავის დედასთან და ოჯახის სხვა წევრებთან ერთად მის ტყვეობაში აღმოჩნდა. მისი და მისი ძმის გათავისუფლება, რომელიც სანქტ-პეტერბურგში მძევლად ყავდათ აყვანილი, მოხდა დიდი გამოსასყიდის გადახდის სანაცვლოდ.**

ემირმა და მისმა ამალამ ამ შემთხვევას დიდი აღმოსავლური ასპექტი მიანიჭა. მიუხედავად იმისა, რომ მისი უდიდებულესობის ქმედება იყო ღირსეული და მბრძანებლური, ის ახალგაზრდულად გამოიყურებოდა. გარდა ამისა მის ქმედებაში არ ჩანდა მისი ასაკი და ის მზრუნველობა, რასაც უნდა ელოდო იმ ადამიანისგან, რომელსაც გამბედაობა ეყო იმისათვის, რომ პასუხისმგებლობა აეღო 232 ცოლზე. მიუხედავად იმისა, რომ მისმა აღმოსავლურმა გარეგნობამ გამახსენა აღმოსავლურ სუფრასთან მჯდომი საზოგადოების მიმართ ჩემი ადრეული შთაბეჭდილება, მე ეჭვი არ შემპარვია მისი მრავალრიცხოვანი ცოლების ბედნიერებაში. ქორწინებასთან მიმართებაში მისი ვაჟიც სავარაუდოდ უნდა ყოფილიყო მამის მსგავსი, რადგან როგორც კი შეუსრულდებოდა 16 წელი, რამდენიმე თვეში მას უნდა მოეყვანა თექვსმეტი ცოლი. ჩვეულებრივმა მისასალმებელმა - სადღეგრძელოებმა, რომელიც იყო მოკლე, ვინაიდან მას თარგმნიდა თარჯიმანი, ჩვენი შეხვედრა ძალიან საინტერესოდ დაასრულა.

შუაღამე იქნებოდა, როდესაც დავემშვიდობეთ დიდ მთავარს და 1.15 საათზე გავემგზავრეთ. ბორჯომიდან დიდმა მთავარმა გასცა ბრძანება დ-სთვის უზრუნველეყოთ კუპე, სადაც შესაძლებელი იქნებოდა დაძინება. დილით ჩვენ მშვიდობით დავბრუნდით თბილისში.

ინგლისური ტექსტის თარგმანი **ქეთევან ამირეჯიბმა**

## პოეზიის კუთხე

# გიორგობაა – მრავალს დაესწარით



უფალმა დაამკვიდრა კაბადოკია და
მფარველობა აღუთქვა წმინდანებს,
უფლის რჩეულთ სტანჯავდა,
აწამებდა ურწმუნო,
უფალი უშუშებდა იარებს.
წმინდაო გიორგი ერთ-ერთი მათგანი
უფლის გვერდით მდგომი შენა ხარ,
როგორ გაუძელი ბორბალზე წამებას,
მეტ ტანჯვას სულიერი ვერ ნახავს.
უფალმა განგიმტკიცა ძალა და მხნეობა,
ურწმუნოთ დაუმტკიცე ღვთის ძალა,
მრავალჯერ ნაწამებმა დაძლიე
განსაცდელი,
ბევრმა ღმერთის სიძლიერე იწამა.
მოვდივართ ტანჯვით და მოვდივართ
ტკივილით,
ვლოცულობთ, სატანამ არ დაგვძლიოს,
ისევ უფლის რწმენით, ვუძლებთ ყველა
ტკივილს,
მზად ვართ განსაცდელი დავძლიოთ.
ცხოვრება მრავალგზის მოგვივლენს
სატანჯველს,
მშველელად, წმინდანები გვევლინებით,
მოგვეცი მხნეობა, რწმენა და იმედი,
უთქვენოდ ძლიერები ვერ ვიქნებით.
წმინდაო გიორგი, რწმენისთვის ნაწამებო,
შეგთხოვე, შენი ძალით გაგვახარე,
გვიხსენ განსაცდლიდან, შეგვეწიე,
დაგვეხმარე
ყველა თავის არჩეულ გზით ატარე.
შევძლოთ ერთმანეთის წრფელი
სიყვარული,
შეგვეძლოს ერთმანეთის გატანა,
იმეფოს სიმშვიდემ ამ დედამიწაზე,
უფალს ვერ აჯობოს სატანამ.

**იზა სარქისიანი**

# ჩემო ტკბილო მესხეთო!



მე საქართველოს შვილი ვარ,
მის ხალხის და ერისა,
ქართველი კაცის შექმნილი,
ნაშობი სომეხ დედისა.
მეამაყება შვილობა
ორთავ ბრწყინვალე ერისა,
ვით სიდიადე, სიმაღლე
კავკასიონის ქედისა.
შენ სახელს მარად დიდება
ჩემო სამშობლო მხარეო,
ჩემო სულტკბილო მესხეთო
მიყვარხარ, გენაცვალეო.
სად არ ვიყავი, სად არა,
არსად დავტოვე მხარეო,
შენი სადარი ვერ ვნახე,
შენს სახელს ვენაცვალეო.
შენ სულ სხვა მიწა-წყალი ხარ,
სულ სხვა მთა, სულ სხვა ბარიო,
ნიჭიერ ხალხის სამყარო,
ლექსებად მოუბარიო.
გამშვენებს ზარზმა, რაბათი,
საფარის მონასტერიო,
ხერთვისის ციხე, ვარძია,
მათი უკვდავი ხედიო.
ღმერთმა გაკმაროს, რაც ოდეს
მწარე ცრემლები ღვარეო,
წინათ ტანჯულო მესხეთო
აწ ხარობ, გაიხარეო.
გიმღერი გულით და სულით
შენი მიწა-წყლის შვილი მე,
ჩემო სულტკბილო მესხეთო
მიყვარხარ შენი ჭირიმე.

**გურამ ქუნცელი-ივანიძე,**
საქართველოს ჟურნალისტთა შემოქმედებითი კავშირის წევრი.

# ნაცნობი ძველი

სატირა



ქუჩას მდიდარმა ჩამოუარა,
იჯდა ღარიბი, ნაცნობი, ძველი,
მდიდარმა ნაგვით სავსე კალათა
მიართვა ღარიბს, ისე ვით ძღვენი.
არ შეიმჩნია ღარიბმა ეს და
ამ ნაგვით ხელში სახლში წავიდა,
და მეორე დღეს კალათა ძღვენის
ვეღარ იტევდა სურნელს ყვავილთა.
ჩამოიარა ისევ მდიდარმა,
ახლა ღარიბმა უბოძა ძღვენი,
და ყვავილებით სავსე კალათით
დაასაჩუქრა ნაცნობი ძველი.
გაოგნებული დარჩა მდიდარი
და ღარიბს ჰკითხა, რად ჰქენი ესო?
მან კი მოუგო – ჩემო ბატონო,
ვის სულში რაც აქვს, იმას გასცემსო.

**თედო მელიქიძე.**

## ფოტოგრაფის თვალით

# ადამიანები ბორჯომიდან



**მოზაიკით, ქართული ჩუქურთმითა და მომავალ თაობაზე ზრუნვით დამტკიცებული სიყვარული. ამჯერად, ბორჯომი და ნათელა გრიგალაშვილი, ამ ისტორიის გმირს მხატვარ-დიზაინერ თანგული ორთოიძეს გაგაცნობთ.**

**ისტორია №3**
**თანგული ორთოიძე**

– დავიბადე წაღვერში, სადაც მთელი ბავშვობა ეიფელის ხიდს ვუყურებდი. სულ მაოცებდა ხიდის კონსტრუქცია და ის ხედები, რომლებიც იმ ადგილიდან იშლება. ეს ბუნება მოქმედებს ადამიანზე, ჩემზეც მნიშვნელოვანი კვალი დატოვა.

ეს გარემო მოგვიანებით მის შემოქმედებაში აისახა. თანგული ორთოიძე 1980 წელს, მშობლიურ ქალაქში მხატვარ-დიზაინერის პროფესიით და ახალი იდეებით დაბრუნდა. მისი პირველი ნამუშევარი მეოთხე სამმართველოს მოზაიკის აუზი იყო, შემდეგ – სანაპიროს ირმები და ქალაქის ცენტრის პანო. დღეს ეს ფერადი მოზაიკა, ბორჯომის იერსახის განუყოფელი ნაწილია. ამ ნამუშევრების ავტორი, ქალაქის სტუმრებს, მოზაიკების ისტორიით ბორჯომს აცნობს. ცენტრალურ პარკში სეირნობისას კი, მათ მინერალური წყალი ბორჯომის შემადგენლობაზე უყვება და ურჩევს, რომ ბუნებრივი, თბილი ბორჯომი აუცილებლად გასინჯონ.

თანგული ორთოიძე საკუთარ გამოცდილებას დღეს მომავალ თაობას უზიარებს. ბავშვებს ასწავლის ხეზე კვეთას, ქართული ჩუქურთმის უნიკალობას და ასწავლის მთავარს – საკუთარი ქალაქის სიყვარულს, რადგან სჯერა, რომ სწორედ ისინი გააცნობენ საქართველოს ერთ-ერთ ულამაზეს ქალაქს მთელ მსოფლიოს.

# საინტერესო შეხვედრა აღზრდის საკითხებზე



**აზროვნების აკადემიის ორგანიზებით მასშტაბური საგანმანათლებლო პროექტი საქართველოში – შემეცნებითი ტურნე რეგიონებში დაიწყო. პროექტის ფარგლებში, აზროვნების აკადემიის ლექტორები (ფსიქოლოგები, ფილოსოფოსები, ფილოლოგები) საქართველოს ათ რეგიონს ესტუმრებიან. შეხვედრები იქნება საჯარო და რეგიონებში მცხოვრებ ყველა დაინტერესებულ პირს შეეძლება. ტურნე 28 ოქტომბრიდან დაიწყო და 23 დეკემბრამდე გაგრძელდება. სწორედ აღნიშნული ტურნეს ფარგლებში გაიმართა ბორჯომის კულტურისა და ხელოვნების ცენტრში შეხვედრა ფსიქოლოგ ნინო ზუაძესთან. შეხვედრა ძირითადად მიზნობრივ აუდიტორიას მოიცავდა და მას ესწრებოდნენ როგორც სკოლამდელი დაწესებულებების, ასევე საჯარო სკოლების პედაგოგები. შეხვედრა კითხვა-პასუხის რეჟიმში წარიმართა. თემა გახლდათ „პოზიტიური აღზრდა“, აუდიტორიას ჰქონდა უამრავი შეკითხვა. განიხილეს კონკრეტული ქეისები. დამსწრე აუდიტორიის მოთხოვნა კი გახლდათ ის, რომ კონკრეტულმა დაწესებულებებმა, რომლებსაც აღნიშნული საკითხის მოგვარება ძალუძთ, საჭიროა გააძლიერონ ფსიქო განათლებით პედაგოგები, რომლებსაც კიდევ მეტად სჭირდებათ მუშაობის პროცესში ხელშეწყობა.**

**ბელა რევაზიშვილი დამსწრე:** – დღევანდელ სამყაროში იმდენად იცვლება ბავშვების ფსიქოლოგია და იმდენად ბევრი ფაქტორი ახდენს გავლენას, რომ იცვლება აღზრდის მეთოდები და მიდგომები. ამიტომაც ძალზედ მნიშვნელოვანია, რომ მშობელმა, დეიდამ, ბიძამ თუ ნებისმიერმა ოჯახის წევრმა ფეხი აუწყოს ამ ცვლილებებს და ამიტომაც ძალიან საინტერესო იყო ქალბატონი ნინოს ლექცია. მე პირადად ხშირად ვუსმენ ხოლმე სოციალურ სივრცეში მის ლექციებს და ძალიან საინტერესო თემებს შეეხო, მაგალითად როგორიცაა ნდობის ფაქტორი. ძალზედ მნიშვნელოვანი იყო ეს თემა ჩემთვისაც და ვფიქრობ, რომ მომავალში გავითვალისწინებ.

**ოთარ ჩუხრუკიძე დამსწრე:** – პირველ რიგში, ძალიან დიდი მადლობა „აზროვნების კადემიას“ და ყველა პარტნიორს. ჩემთვის პირადად დღევანდელი თემა ნაყოფიერი იყო, ძალიან ბევრი რამ მიმაქვს აღნიშნული შეხვედრიდან, გამომდინარე იქიდან, რომ ოთხი შვილის მამა ვარ, მგონია, რომ პოზიტიური აღზრდის მნიშვნელობა არის ძალზედ მნიშვნელოვანი თანამედროვე ცხოვრებაში და ჩემი სურვილი იქნებოდა, რომ ასეთი ტიპის შეხვედრები რეგიონებში უფრო ხშირად იმართებოდეს და არამარტო ასეთ თემებზე.

# პრეზენტაცია უცხოელი ექსპერტების ნართულობით



**7-8 ნოემბერს,** ბორჯომის მუნიციპალიტეტის სხდომათა დარბაზში „PPRDEAST3“ (ერთად უსაფრთხო მომავლისათვის) პროექტის პრეზენტაცია გაიმართა, რომელიც იტალიის და შვედეთის საგანგებო სიტუაციების სააგენტოებისა და წითელი ჯვრის ორგანიზაციის წარმოამდგენლებმა გამართეს.

ტრენინგს ბორჯომის მუნიციპალიტეტის მერის მოადგილე **გიორგი ტაბატაძე,** მერიის წარმოამდგენლები, წითელი ჯვრის, საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურისა და ეროვნული სატყეო სააგენტოს თანამშრომლები ესწრებოდნენ. შეხვედრაზე ექსპერტებმა წარმოადგინეს ე.წ. გრძელვადიანი პროგრამის მესამე ფაზა, რომელიც კატასტროფების მართვას მოიცავს და მისი მიზანია მდგრადი შესაძლებლობების შექმნა როგორც კატასტროფების დროს, ასევე სამოქალაქო სიტუაციებსა და სხვა შესაბამის სამსახურებს შორის. პროგრამა გაყოფილია სხვადასხვა სამუშაო პაკეტებად, მაგალითად როგორიცაა: საგანგებო სიტუაციების მართვა, სამოქალაქო დაცვის სააგენტო, სამუშაო პაკეტი.

ექსპერტებმა საზოგადოებას წარუდგინეს რეაგირების მართვის მოდელი, რომლის საგანგებო გეგმის ნაწილი ძირითადად ფოკუსირებულია სამოქალაქო დაცვის შესაძლებლობებზე კატასტროფის ან კრიზისის მოსამზადებლად და რეაგირებაზეა მორგებული. აღნიშნული მართვის გეგმა კი შედგენილია საქართველოში არსებული კანონმდებლობის გათვალისწინებით, საქართველოს მთავრობის №508 განკარგულებით.

ექსპერტებმა ასევე წარმოადგინეს რუკები, სადაც დატანილია ყველა ის ობიექტი, რომელიც საზოგადოებრივი მნიშვნელობის დაწესებულებებს წარმოადგენს.

რეაგირების გეგმის ნაწილი მოქმედი კანონმდებლობისა და მანდატის საფუძველზე განსაზღვრავს არსებით ელემენტებს, რომლებიც ეხება ტერიტორიაზე სამოქალაქო დაცვის სისტემის შემადგენლობას.

შეხვედრაზე მსგავსი შემთხვევების დროს ადგილობრივი და ქვეყნის მასშტაბით არსებული თითოეული უწყების როლსა და ფუნქციებზე ისაუბრეს.

ტრენინგის მთავარი ამოცანა აღმოსავლეთ პარტნიორობის ქვეყნებში ბუნებრივი და ადამიანის ფაქტორით გამოწვეული საგანგებო სიტუაციების პრევენციის, მათზე რეაგირების, აღდგენა-მზადყოფნის დონის ამაღლებაა.

წერილები მოამზადა **ნატო მელიქიძე**

# იწყება „ნარინჯისფერი კვირეული“

**25 ნოემბერს,** 17:00 საათზე, მერაბ კოსტავას მოედანზე „ნარინჯისფერი კვირეული“ გაიხსნება და იქვე მოეწყობა ფლეშმობი, რომელშიც მონაწილეობას მიიღებენ კულტურისა და ხელოვნების ცენტრთან არსებული ანსამბლები: „იმედი“ და „ფერხისი“.

29 ნოემბერს, 16:00 საათზე, ბორჯომის სამუსიკო სკოლაში, უფლებადამცველ ქალთა საერთაშორისო დღესთან დაკავშირებით, ბორჯომის მუნიციპალიტეტის საჯარო სკოლების მოსწავლეები პრეზენტაციებს წარადგენენ.

მუნიციპალიტეტის საჯარო სკოლების X-XII კლასების მოსწავლეებს შესაძლებლობა აქვთ მოამზადონ პრეზენტაციები შემდეგი თემებიდან ერთ-ერთზე:

- **არასრულწლოვანთა ქორწინება და ოჯახი;**
- **ფემინიზმი და ქალთა უფლებები;**
- **ქალი, ოჯახი და საზოგადოება.**

სკოლის მოსწავლეების მიერ შემუშავებული პრეზენტაციიდან სკოლა შეარჩევს ერთ საუკეთესო ნამუშევარს. შერჩეული ნამუშევრების გადმოგზავნა 25 ნოემბრიდან 27 ნოემბრის 18:00 საათამდე შესაძლებელია შემდეგ ელ. ფოსტაზე: borjomigec@gmail.com

პრეზენტაციების შექმნისას გათვალისწინებული უნდა იყოს შემდეგი:

- **პრეზენტაციას წარადგენს ერთი პრეზენტატორი;**
- **პრეზენტაციის საშუალო ხანგრძლივობა უნდა იყოს 5-7 წუთი;**
- **პრეზენტაცია უნდა გაკეთდეს Power Point-ში.**

1 დეკემბერს, 13:00 საათზე, ბორჯომის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სხდომათა დარბაზში გაიმართება საინფორმაციო ხასიათის შეხვედრა შიდსის წინააღმდეგ ბრძოლის საერთაშორისო დღესთან დაკავშირებით.

4 დეკემბერს, 15:00 საათზე, ბორჯომის სამუსიკო სკოლაში გაიმართება ღონისძიება შშმ პირთა საერთაშორისო დღესთან დაკავშირებით. ღონისძიებაში მონაწილეობას მიიღებენ დღის ცენტრი „თებეს“ ბენეფიციარები. საღამოს მუსიკალურად სამუსიკო სკოლის მოსწავლეები გააფორმებენ.

ღონისძიების დაწყებამდე სამუსიკო სკოლის ფოიეში გაიმართება შშმ პირი დავით ხადურის დედის მაია აბზიანიძის ნახატების გამოფენა-გაყიდვა.

5 დეკემბერს, 16:00 საათზე, ბორჯომის სამუსიკო სკოლაში, ფსიქოლოგ ზურაბ მხეიძესთან გაიმართება საინფორმაციო ხასიათის შეხვედრა თემაზე „არაფიზიკური ძალადობა“.

8 დეკემბერს, 17:00 საათზე, მერაბ კოსტავას სახელობის ბაღის ღია კინოთეატრში გაიმართება ზურაბ ინაშვილის ფილმი „ხმა ამოიღეთ“ ჩვენება, რომელიც ოჯახში ძალადობის რეალური ისტორიების შესახებ მოგვითხრობს.

ფილმი გაეროს ერთობლივი პროგრამის „გენდერული თანასწორობის ხელშეწყობისათვის საქართველოში“ ფარგლებში საქართველოს კინემატოგრაფიის ეროვნულ ცენტრთან თანამშრომლობითაა გადაღებული.

10 დეკემბერს, 16:00 საათზე, კულტურისა და ხელოვნების ცენტრში გაიმართება „ნარინჯისფერი კვირეულის“ დახურვა არასრულწლოვანი შშმ ბავშვის ელენე თარგამაძის ნახატების გამოფენა.

„ნარინჯისფერი კვირეულის“ დახურვა – კულტურისა და ხელოვნების ცენტრთან არსებული ანსამბლი „ბორჯომისა“ და სამუსიკო სკოლასთან არსებული ანსამბლი „ოქტავას“ მონაწილეობით გაიმართება კონცერტი.

დაჯილდოვდებიან გენდერული თანასწორობის საბჭოს ორგანიზებით გამოცხადებული კონკურსის პრეზენტატორები. თითოეული სკოლის დირექციას, გენდერული თანასწორობის საბჭოსთან ინტენსიური ურთიერთობის გამო, გადაეცემა მადლობის სიგელი.

შეგახსენებთ, რომ ბორჯომის მუნიციპალიტეტის გენდერული თანასწორობის საბჭო უკვე რამდენიმე წელია ქალთა მიმართ ძალადობის წინააღმდეგ მიმართული 16-დღიანი კამპანიის ორგანიზატორია. გარდა ამისა, საბჭოს მიერ წლის განმავლობაში არაერთი ღონისძიება იგეგმება.

გაზეთი რეგისტრირებულია ბორჯომის სასამართლოს მიერ 1997 წელს, რეგისტრაციის №24.04.59
რედაქციამ შეიძლება გამოაქვეყნოს ისეთი წერილები, რომელთა ავტორების თვალსაზრისს თვითონ არ იზიარებდეს.
გაზეთის დამფუძნებელია რედაქციის კოლექტივი.
მისამართი: ბორჯომი, ფალიაშვილის №2. ტელ: 22-29-65. იბეჭდება შპს გამომცემლობა „საარში“. თბილისი, თევდორე მღვდლის №57.
borjomi@inbox.ru რედაქტორი: ვალერიან ლომიძე